სამეთვალყურეო საბჭო
BOARD OF TRUSTEES

24.07.2013

№20

GEORGIAN
PUBLIC
BROADCASTER
საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი
GPB.GE

საქართველოს რეფორმების ასოციაციის

დირექტორს სერგი კაპანაძეს

ბატონო სერგი,

თქვენი ა/წ 17 ივლისის წერილი #76-ს პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოში 2005 წლის ივნისიდან ირიცხებოდა საბჭოს 9 წევრი: ლევან თარხნიშვილი, თამარ კინწურაშვილი, ფრიდონ თოდუა, გია ნოდია, ალექსანდრე რონდელი, რუსუდან სებისკვერაძე, მამუკა ხერხეულიძე, გიორგი ხუბუა და ნინო ანანიაშვილი. 2005 წელს ორმა მეურვემ თამარ კინწურაშვილმა და გიორგი ხუბუამ სხვა თანამდებობაზე დანიშვნიდან გამომდინარე, დატოვეს სამეურვეო საბჭო. 2007 წლის გაზაფხულიდან სამეურვეო საბჭოს სამ წევრს როტაციის მიხედვით გაუვიდათ წევრობის უფლებამოსილების ვადა, დარჩენილი საბჭოს ოთხი წევრიდან: ლევან თარხნიშვილი, ფრიდონ თოდუა, მამუკა ხერხეულიძე და რუსუდან სებისკვერაძე, ლევან თარხნიშვილი 2007 წლის ოქტომბერში დაინიშნა საქართველოს სარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ, რის შემდეგაც საბჭოში დარჩა სამი წევრი. 2008 წლის დასაწყისში დარჩენილმა სამმა წევრმა იმ დროინდელი და მოქმედი მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის სახელზე დაწერა განცხადება სამეურვეო საბჭოს წევრობიდან გადადგომის მიზნით. სამწუხაროდ აღნიშნული განცხადებები მაუწყებლის კანცელარიაში არ ინახება, თქვენი სურვილის შემთხვევაში სამეურვეო საბჭოს წევრების მიერ დაწერილი განცხადებები შეგიძლიათ გამოითხოვოთ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან.

აქვე გაცნობებთ, რომ 2007 წლის ოქტომბრიდან სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საბჭოს სხდომები არ ჩატარებულა და შესაბამისად სხდომებს არავინ არ თავმჯდომარეობდა.

პატივისცემით,

საბჭოს თავმჯდომარე ლევან გახელაძე

№ 2825/07 22 07 2013

მ. კოსტავას 68, თბილისი, 0171, საქართველო
68 M. Kostava Str., 0171, Tbilisi, Georgia; Tel./Fax: +995 32 409 115 / 409 221; E-mail: info@gpb.ge